

შპს “NUTSGE“

მცირე და საშუალო საწარმოებისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო
სტანდარტების (მსს ფასს-ის) მიხედვით მომზადებული

საწყისი ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 ივლისით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

სარჩევი

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის საწყისი ანგარიშგება	1
ფინანსური მდგომარეობის საწყისი ანგარიშგება	2
კაპიტალში ცვლილებების საწყისი ანგარიშგება	3
ფულადი ნაკადების საწყისი ანგარიშგება	4
1. ზოგადი ინფორმაცია	6
2. მომზადების საფუძველი	6
3. ფუნქციონირებადი საწარმო	7
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები	8
5. შეფასებები და დაშვებები	17
6. ამონაგები	17
7. გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება	18
8. რეალიზაციისა და დისტრიბუციის ხარჯები	18
9. ადმინისტრაციული ხარჯები	18
10. არასაოპერაციო შემოსავალი	19
11. მოგების გადასახადი	19
12. ძირითადი საშუალებები	20
13. მარაგები	21
14. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	21
15. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	21
16. სესხები	22
17. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	22
18. მიღებული ავანსები	23
19. საწესდებო კაპიტალი	23
20. დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები	23
21. პირობითი ვალდებულებები	24
22. ანგარიშგების პერიოდის შემდგომი მოვლენები	25
23. საწყისი ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება	25

შპს „NUTSGE“

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის საწყისი ანგარიშგება
2023 წლის 31 ივლისით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის
(ცხრილში ციფრები მოცემულია ლარში)

	შენიშვნა	2023 წელი	2022 წელი
ამონაგები	6	18,402,540	14,279,695
გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება	7	(15,384,547)	(11,721,829)
საერთო მოგება		3,017,993	2,557,866
რეალიზაციისა და დისტრიბუციის ხარჯები	8	(751,886)	(524,339)
ადმინისტრაციული ხარჯები	9	(1,924,024)	(1,256,978)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული მოგება		342,083	776,549
არასაოპერაციო შემოსავალი	10	159,729	94,439
ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯები	16	(714,368)	(823,118)
ფინანსური შემოსავალი	20	56,323	53,553
საკურსო სხვაობიდან მიღებული წმინდა მოგება/(ზარალი)		127,864	(366,405)
ზარალი დაბეგვრამდე		(28,369)	(264,982)
მოგების გადასახადი	11	-	-
წლის ზარალი		(28,369)	(264,982)

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია და ხელმოწერილია შპს „NUTSGE“ ხელმძღვანელობის მიერ

მამუკა ბერიაშვილი
დირექტორი

თარიღი

Mamuka
Berishvili
01006001565

Digitally signed by
Mamuka
Berishvili
Date: 2024.04.30
10:25:59

6-25 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წინამდებარე საწყისი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.

შპს "NUTSGE"

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის საწყისი ანგარიშგება

2023 წლის 31 ივლისით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის
(ცხრილში ციფრები მოცემულია ლარში)

	შენიშვნა	2023 წელი	2022 წელი
ამონაგები	6	18,402,540	14,279,695
გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება	7	(15,384,547)	(11,721,829)
საერთო მოგება		3,017,993	2,557,866
რეალიზაციისა და დისტრიბუციის ხარჯები	8	(751,886)	(524,339)
ადმინისტრაციული ხარჯები	9	(1,924,024)	(1,256,978)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული მოგება		342,083	776,549
არასაოპერაციო შემოსავალი	10	159,729	94,439
ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯები	16	(714,368)	(823,118)
ფინანსური შემოსავალი	20	56,323	53,553
საკუროსო სხვაობიდან მიღებული წმინდა მოგება/(ზარალი)		127,864	(366,405)
ზარალი დაბეგვრამდე		(28,369)	(264,982)
მოგების გადასახადი	11	-	-
წლის ზარალი		(28,369)	(264,982)

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია და ხელმოწერილია შპს „NUTSGE“ ხელმძღვანელობის მიერ

მამუკა ბერიაშვილი

დირექტორი

თარიღი

6-25 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წინამდებარე საწყისი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.

შპს „NUTSGE“

ფინანსური მდგომარეობის საწყისი ანგარიშგება

2023 წლის 31 ივლისით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის
(ცხრილში ციფრები მოცემულია ლარში)

	შენიშვნა	2023 წლის 31 ივლისი	2022 წლის 31 ივლისი	2021 წლის 1 აგვისტო
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	12	1,334,676	1,222,815	1,356,731
გაცემული სესხები	20	363,200	415,651	-
სულ გრძელვადიანი აქტივები		1,697,876	1,638,466	1,356,731
მოკლევადიანი აქტივები				
საგადასახადო აქტივები		23,846	1,142	22,026
მარაგები	13	1,269,488	1,182,204	751,464
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	14	2,259,319	1,506,390	448,475
გადახდილი ავანსები		542,570	408,585	36,585
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	15	310,258	107,550	170,023
მისაღები პროცენტები	20	-	48,785	-
სულ მოკლევადიანი აქტივები		4,405,481	3,254,656	1,428,573
სულ აქტივები		6,103,357	4,893,122	2,785,304
კაპიტალი და ვალდებულებები				
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი	19	916,812	916,812	916,812
დაგროვილი ზარალი		(2,875,978)	(2,847,609)	(2,582,627)
სულ კაპიტალი		(1,959,166)	(1,930,797)	(1,665,815)
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი სესხები	16	4,305,124	3,103,855	2,930,019
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		4,305,124	3,103,855	2,930,019
მოკლევადიანი ვალდებულებები				
მოკლევადიანი სესხები	16	1,527,810	1,420,317	962,230
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	17	619,468	1,323,163	256,016
მიღებული ავანსები	18	1,321,857	940,454	137,405
გადასახდელი პროცენტი	16	288,264	36,130	165,449
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		3,757,399	3,720,064	1,521,100
სულ ვალდებულებები		8,062,523	6,823,919	4,451,119
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		6,103,357	4,893,122	2,785,304

6-25 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წინამდებარე საწყისი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს
წარმოადგენს.

შპს „NUTSGE“

კაპიტალში ცვლილებების საწყისი ანგარიშგება

2023 წლის 31 ივლისით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ცხრილში ციფრები მოცემულია ლარში)

	შენიშვნა	საწესდებო კაპიტალი	დაგროვილი ზარალი	სულ
2021 წლის 1 აგვისტო	19	916,812	(2,582,627)	(1,665,815)
მიმდინარე წლის ზარალი		-	(264,982)	(264,982)
2022 წლის 31 ივლისი	19	916,812	(2,847,609)	(1,930,797)
მიმდინარე წლის ზარალი		-	(28,369)	(28,369)
2023 წლის 31 ივლისი	19	916,812	(2,875,978)	(1,959,166)

6-25 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წინამდებარე საწყისი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.

შპს „NUTSGE“

ფულადი ნაკადების საწყისი ანგარიშგება

**2023 წლის 31 ივლისით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის
(ცხრილში ციფრები მოცემულია ლარში)**

	შენიშვნა	2023	2022
საოპერაციო საქმიანობა			
მოგება/ზარალი		(28,369)	(264,982)
არაფულადი კორექტივები დაბეგვრამდე ზარალის წმინდა		-	-
ფულად ნაკადებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით:			
ცვეთა	9	209,385	200,961
საინვესტიციო და ფინანსურ საქმიანობაში საკურსო		(127,864)	366,405
სხვაობიდან მიღებული წმინდა ზარალი			
ფინანსური ხარჯი	16	714,368	823,118
სხვა არასოპერაციო შემოსავლი	10	(10,110)	-
ფინანსური შემოსავალი	20	(56,323)	(53,553)
კორექტირებები:			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ზრდა/(შემცირება)		(825,623)	(1,287,400)
გადახდილი ავანსების ზრდა/(შემცირება)		(133,985)	(372,000)
მარაგების ზრდა/(შემცირება)		(87,284)	(430,740)
საგადასახადო აქტივის გაზრდა		(22,704)	20,885
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების შემცირება		(688,957)	1,115,939
მიღებული ავანსების ზრდა		381,403	803,049
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული/(გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები		(676,063)	921,682
საინვესტიციო საქმიანობა			
ძირითადი საშუალებების გაყიდვა		27,201	-
ძირითადი საშუალებების შეძენა	10	(338,337)	(67,045)
ფინანსური შემოსავალი		102,260	-
გაცემული სესხები		34,127	(468,562)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		(174,749)	(535,607)
ფინანსური საქმიანობა			
გადახდილი პროცენტი		(441,524)	(703,583)
გადახდილი სესხი		(6,966,599)	(3,123,210)
აღებული სესხი		8,534,174	3,428,128
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული და გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		1,126,051	(398,665)
ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა/(შემცირება)		275,239	(12,590)

6-25 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წინამდებარე საწყისი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.

შპს „NUTSGE“

ფულადი ნაკადების საწყისი ანგარიშგება (გაგრძელება)

**2023 წლის 31 ივლისით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის
(ცხრილში ციფრები მოცემულია ლარში)**

	<u>შენიშვნა</u>	<u>2023</u>	<u>2022</u>
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში	15	107,550	170,023
წმინდა საკუროსო სხვაობა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		(72,531)	(49,883)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს	15	310,258	107,550

6-25 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წინამდებარე საწყისი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს
წარმოადგენს.

შპს „NUTSGE“

საწყისი ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2023 წლის 31 ივლისით დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ცხრილში ციფრები მოცემულია ლარში)

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „NUTSGE“ (შემდგომში კომპანია) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანია, რომელიც საქართველოში დაფუძნდა 2012 წლის 25 ივლისს.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს თხილის გადამამუშავება და ექსპორტი.

2023 და 2022 წლის 31 ივლისის მდგომარეობით კომპანიის მფლობელებს წარმოადგენდნენ მამუკა ბერიაშვილი 51% და შპს „გაზელ ფაინენს ჯორჯია“ 49%. ხოლო 2021 წლის 31 ივლისის მდგომარეობით კომპანიის 75% ფლობდა „გაზელ ფაინენს ჯორჯია“ და 25% წილი ფლობელი იყო მამუკა ბერიაშვილი, თუმცა კომპანიის წესდებით მამუკა ბერიაშვილი ახორციელებდა კომპანიაზე კონტროლს.

2023 წლის 31 ივლისის მდგომარეობით კომპანიაში დასაქმებულთა რაოდენობა იყო 92 (2022: 78, 2021:58).

კომპანია მდებარეობს მისამართზე: საქართველო, ზუგდიდის რაიონი, ზ. გამსახურდიას გამზირი, N8. მისი საიდენტიფიკაციო ნომერია: 419986796.

2. მომზადების საფუძველი

კომპანიამ 2023 წლის 31 ივლისით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება მოამზადა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს („ბასს“) მიერ გამოშვებული მცირე და საშუალო საწარმოებისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („მსს ფასს-ის სტანდარტები“) მიხედვით. ეს არის კომპანიის პირველი ფინანსური ანგარიშგება რომელიც მომზადებულია მსს ფასს-ის სტანდარტების მიხედვით.

კომპანიას 2019 წლის 31 ივლისიდან გამოშვებული აქვს სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგებები, რომელიც არ წარმოადგენს მსს ფასს-ის სტანდარტების მიხედვით მომზადებულ ფინანსური ანგარიშგების სრულ პაკეტს. რადგანაც აქამდე კომპანიას არ გამოუშვია ფინანსური ანგარიშგება ბუღალტრული აღრიცხვის საყოველთაოდ მიღებული პრინციპების მიხედვით, ეს ფინანსური ანგარიშგება არ მოიცავს განმარტებებს იმის შესახებ, თუ როგორ იმოქმედა მსს ფასს-ის სტანდარტზე გადასვლამ მის ფინანსურ მდგომარეობაზე, შედეგებსა და ფულად ნაკადებზე.

ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი მუხლები ასახული არის იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს შესაბამისად სადაც ფუნქციონირებს საწარმო (სამუშაო ვალუტა). კომპანიის სამუშაო ვალუტა არის ქართული ლარი. ფინანსური ანგარიშგების წარსადგენი ვალუტა ასევე არის ქართული ლარი.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულებით აღრიცხვის წესით. პირვანდელი ღირებულება, როგორც წესი, ეყრდნობა აქტივის სანაცვლოდ გაღებული საზღაურის სამართლიან ღირებულებას.

3. ფუნქციონირებადი საწარმო

2023 წლის 31 ივლისის მდგომარეობით კომპანიის დაგროვილმა ზარალმა შეადგინა 2,875,978 ლარი. ხოლო კომპანიის საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული ფულადი ნაკადები 676,063 ლარით აჭარბებს ფულად შემოსავლებს. ყოველივე ზემოაღნიშნული მიუთითებს არსებით განუსაზღვრელობაზე რამაც შესაძლოა საექვო გახადოს კომპანიის უნარი გააგრძელოს ფუნქციონირება, როგორც ფუნქციონირებდმა საწარმომ. მიუხედავად ზემოაღნიშნულისა კომპანიის მენეჯმენტი თვლის, რომ გააჩნია საკმარისი რესურსი დროულად დაფაროს ვალდებულებები შემდეგი მიზეზების გამო:

- კომპანიის წმინდა ზარალი უმეტესწილად გამოწვეულია სასესხო ვალდებულებებზე დარიცხული პროცენტით და აღნიშნული სესხების გადაფასების შედეგად საკურსო სხვაობიდან მიღებული ზარალით. აღსანიშნავია, რომ სესხების ძირითადი ნაწილი კომპანიას მშობელი საწარმოსგან აქვს მიღებული (შენიშვნა 20) რომლის დაფარვის ვალდებულება მართვადია კომპანიის ხელმძღვანელობისგან. შესაბამისად, კომპანიის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ დარიცხული პროცენტის გადახდა განხორციელდება, მაშინ როდესაც კომპანიის საოპერაციო შემოსავალი გადააჭარბებს დარიცხული პროცენტის მოცულობას.
- 2023 წლის საანგარიშგებო პერიოდის საოპერაციო ფულადი ნაკადების უარყოფითი ნაშთი გამოწვეულია სამუშაო კაპიტალის ზრდით. კერძოდ, 2023 წელს კომპანიამ დაიწყო მარაგების მობილიზება, ბაზარზე არსებული მოთხოვნის დროულად დაკმაყოფილების მიზნით. იმის გათვალისწინებით, რომ კომპანიის გაყიდვები 2023 წლის საანგარიშგებო პერიოდში 29% გაიზარდა, კომპანიამ 2024 წლისთვის მოახდინა 1,269,488 ლარის სასაქონლო მარაგის მობილიზება. კომპანია 2024 წლისთვის გეგმავს კლიენტებთან ანგარიშსწორების პოლიტიკის გადახედვას, რომელიც შესაბამისობაში იქნება მომწოდებლების გადახდის პირობებთან.

დღეის მდგომარეობით ყველა ოპერაცია განხორციელებულია დაშვებით, რომ კომპანია გააგრძელებს ფუნქციონირებას. გაცხადება ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებით დაფუძნებულია მიმდინარე მოლოდინებსა და პროგნოზებზე. არსებობს რისკები და განუსაზღვრელობები, რომლებიც ცდება მენეჯმენტის კონტროლს, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს გადახრები მოლოდინებსა და ფაქტიურ შედეგებს შორის. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია დაშვებით, რომ კომპანია გააგრძელებს ფუნქციონირებას, როგორც ფუნქციონირებადი საწარმო, მოახდენს მისი მარაგების რეალიზებას და დაფარავს ვალდებულებებს ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა აღწერილია ქვემოთ:

მოკლევადიან/გრძელვადიან მუხლებად კლასიფიკაცია

საწარმო მის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აქტივებისა და ვალდებულებების ასახვისათვის იყენებს მოკლევადიან/გრძელვადიან კლასიფიკაციას.

აქტივი არის მოკლევადიანი თუ:

- ნავარაუდევია აქტივის გაყიდვა, ან აქტივი გამიზნულია გასაყიდად ან მოხმარებისთვის ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- აქტივი ძირითადად გამოიყენება სავაჭრო დანიშნულებით;
- ნავარაუდევია მისი გაყიდვა საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში;

ან

- აქტივი არის ფულადი სახსრები ან ფულადი სახსრების ეკვივალენტი, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც მისი გაცვლა ან ვალდებულების დასაფარად გამოყენება შეზღუდულია, საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ სულ მცირე თორმეტი თვით მაინც.

ყველა სხვა აქტივი კლასიფიცირებულია, როგორც გრძელვადიანი აქტივები.

ვალდებულება არის მოკლევადიანი თუ:

- მისი დაფარვა მოსალოდნელია ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ძირითადად, გამოიყენება სავაჭრო დანიშნულებით;
- უნდა დაიფაროს საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში;

ან

- საწარმოს არ გააჩნია ვალდებულების დაფარვის გადავადების უპირობო უფლება, საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ სულ მცირე თორმეტი თვის განმავლობაში მაინც.

ყველა სხვა სახის ვალდებულება მიიჩნევა გრძელვადიან ვალდებულებად.

ამონაგების აღიარება

ამონაგების აღიარება ხდება იმდენად, რამდენადაც მოსალოდნელია, რომ კომპანია მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის სარწმუნოდ შეფასება მიუხედავად იმისა, თუ როდისაა გადახდა მიღებული. შემოსავლების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით, გადახდის ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადების გათვალისწინებით და გადასახადებისა და მოსაკრებლების გამოკლებით. კომპანია შემოსავლებთან დაკავშირებულ თავის შეთანხმებებს სპეციალურ კრიტერიუმებს ადარებს, რათა განსაზღვროს ამ შეთანხმებებში იგი პრინციპალად გამოდის თუ პრინციპალის აგენტ მხარედ. კომპანიამ დაასკვნა, რომ შემოსავლებთან დაკავშირებულ ყველა გარიგებაში გამოდის პრინციპალის სახით, რადგან იგი ძირითადი მოვალეა ყველა

შპს „NUTSGE“

საწყის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2023 წლის 31 ივლისით დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ცხრილში ციფრები მოცემულია ლარში)

ასეთ გარიგებაში, აქვს ფასდადების მხრივ თავისუფლება და ატარებს სასაქონლო-მატერიალური მარაგების გაუფასურებისა და საკრედიტო რისკებს.

შემოსავლების აღიარებამდე უნდა დაკმაყოფილდეს აღიარების შემდეგი სპეციალური კრიტერიუმები:

ამონაგები საქონლის გაყიდვიდან

საქონლის გაყიდვიდან მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც საქონლის ფლობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი გადავა მყიდველზე, როგორც წესი, საქონლის მიწოდებისთანავე.

ამონაგები მომსახურების გაწევიდან

შემოსავალი მომსახურების ხელშეკრულებიდან აღიარდება ხელშეკრულების შესრულების ეტაპზე დაყრდნობით. ხელშეკრულების შესრულების ეტაპი განიმარტება ისეთი სახელშეკრულებო განაკვეთებით, როგორც არის გადამუშავებული პროდუქციის სახელშეკრულებო ფასი.

გადავადებული შემოსავალი

წარმოებული საქონლისთვის მიღებული ავანსები გადავადებული შემოსავლის სახით აღირიცხება. კომპანია შემოსავალს აღიარებს კლიენტისთვის შესაბამისი პროდუქციის მიწოდებისას.

უცხოური ვალუტები

საწარმოს სამუშაო ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტებში (უცხოურ ვალუტებში) გამოხატული გარიგებების აღიარება ხდება ამ გარიგებების თარიღებით მოქმედი სავალუტო კურსებით. ყოველ საანგარიშგებო თარიღში, ხდება უცხოურ ვალუტებში გამოხატული ფულადი მუხლების გადაყვანა ამ თარიღით მოქმედი კურსის გამოყენებით. სხვაობები უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციის სახელშეკრულებო გაცვლით კურსსა და საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) გაცვლით კურსს შორის ოპერაციის დღეს შესულია მოგება ზარალისა და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ქვემოთ მოცემულია გაცვლითი კურსები წლის ბოლოს მდგომარეობით, რომლებიც კომპანიამ წინამდებარე ფინანსური ანგარიშგებისთვის გამოიყენა:

	2023 წლის 31 ივლისი	2022 წლის 31 ივლისი	2021 წლის 31 ივლისი
აშშ დოლარი/ლარი	2.6433	2.7652	3.1244
ევრო/ლარი	2.906	2.8299	3.7174

გადასახადები

მოგების გადასახადის ხარჯი მოიცავს მიმდინარე საგადასახადო დავალიანებას.

საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში არ იბეგრება. მოგების გადასახადით დაიბეგრება დივიდენდების სახით იმ აქციონერებზე განაწილებული მოგება, რომლებიც

არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში. ამგვარი მოგება დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯი იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო დავალიანებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშობათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები. კომპანიის აქციონერებისთვის დივიდენდის განაწილებასთან დაკავშირებით დაკავებული გადასახადი საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში აღიარებულია კაპიტალიდან გამოქვითვის სახით.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული გარიგებების დაბეგვრას, რომლებიც ითვლება პირობითი მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ბიზნეს საქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ამგვარი გარიგებების დაბეგვრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და აღირიცხება მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების საოპერაციო ხარჯებში.

დამატებული ღირებულების გადასახადი

შემოსავლების, ხარჯებისა და აქტივების აღიარება ხდება დამატებული ღირებულების გადასახადის თანხის გამოკლებით, გარდა იმ შემთხვევებისა:

- როდესაც აქტივების ან მომსახურების შესყიდვაზე დარიცხული დამატებული ღირებულების გადასახადი არ ექვემდებარება საგადასახადო ორგანოსგან დაბრუნებას, რა შემთხვევაშიც დამატებითი ღირებულების გადასახადის აღიარება მოხდება აქტივის შესყიდვაზე გაწეულ დანახარჯებში ან ხარჯის მუხლში, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე.
- დებიტორული და კრედიტორული დავალიანებისა, რომელიც მოიცავს დამატებული ღირებულების გადასახადს.

საგადასახადო ორგანოებისთვის გადასახდელი ან მათგან დასაბრუნებელი დამატებული ღირებულების გადასახადის წმინდა ოდენობა ასახულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშის დღე აქტივის (ანაზღაურებადი დღე) ან ვალდებულების ნაწილში.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, საიდანაც გამოკლებულია დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების შედეგად მიღებული დაგროვილი ზარალი. მიწას და დაუმთავრებელ მშენებლობას ცვეთა არ ერიცხება.

ძირითადი საშუალებების მუხლის პირვანდელი ღირებულება მოიცავს (ა) მის ნასყიდობის ღირებულებას, მათ შორის იმპორტის მოსაკრებელს და შესყიდვის არადაბრუნებად გადასახადებს, სავაჭრო ფასდათმობების და ფასდაკლებების გამოკლების შემდეგ; (ბ) ნებისმიერ თვითღირებულებას, რომელიც პირდაპირ უკავშირდება მუხლის მისთვის საჭირო ადგილზე და პირობებში მისატანად, რათა უზრუნველყოფილი იყოს კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული წესით ფუნქციონირება; (გ)

დემონტაჟისა და ტერიტორიიდან გატანის ხარჯებს ასევე, იმ ტერიტორიის აღდგენის ღირებულებას, რომელზედაც ამგვარი აქტივი იყო განთავსებული, და (დ) იმ ვალდებულებას, რომელსაც კისრულობს კომპანია აქტივის შეძენისას ან, მუხლის გამოყენების შედეგად კონკრეტული პერიოდის განმავლობაში, რისი მიზანიც არ არის ამ პერიოდში სასაქონლო-მატერიალური მარაგების წარმოება.

ამის შემდეგ, კაპიტალიზებული ხარჯები მოიცავს გაუმჯობესებების და ჩანაცვლებების მთავარ დანახარჯებს, რომელიც ახანგრძლივებს აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადებს და ზრდის მათ მიერ შემოსავლის გენერირების შესაძლებლობას. რემონტის და ტექნიკური მომსახურების ხარჯი, რომელიც არ აკმაყოფილებს კაპიტალიზაციის ზემოთ ხსენებულ კრიტერიუმებს, აისახება მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, მათი გაწევისთანავე.

ძირითად საშუალებებზე ცვეთა ირიცხება ისეთი ფორმით, რომ ჩამოიწეროს ცვეთადი ღირებულება აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადაზე და ის დაანგარიშდება ცვეთის წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითადი საშუალებების ჯგუფების სასარგებლო მომსახურების ვადები არის შემდეგი:

ძირითადი საშუალებების კატეგორიები	სასარგებლო გამოყენების ვადები წლების მიხედვით
შენობა-ნაგებობები	20
მანქანა-დანადგარები	3-10
ოფისის აღჭურვილობა	3-5
სატრანსპორტო საშუალებები	5-10
სხვა ძირითადი საშუალებები	3

ცვეთადი ღირებულება წარმოადგენს სხვაობას ძირითადი საშუალებების თვითღირებულებისა და მის ნარჩენ ღირებულებას შორის. ნარჩენი ღირებულება წარმოადგენს სავარაუდო თანხას, რომელსაც კომპანია ძირითადი საშუალებების მუხლის გასხვისებიდან მიიღებდა, გასხვისების სავარაუდო ხარჯების გამოკლებით, აქტივი უკვე მოძველებული და ისეთ მდგომარეობაში რომ ყოფილიყო, როგორც მოსალოდნელია სასარგებლო გამოყენების ვადის დასრულებისთვის.

ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო მომსახურების ვადა და ცვეთის დარიცხვის მეთოდი ყოველი ფინანსური წლის ბოლოს გადაიხედება. წინა შეფასებების ნებისმიერი ცვლილების ეფექტი პერსპექტიულად აღირიცხება, სააღრიცხვო შეფასებების ცვლილების სახით.

ძირითადი საშუალებების მუხლის გაყიდვიდან ან განკარგვიდან მიღებული შემოსულობა ან ზარალი განისაზღვრება, როგორც აქტივის გაყიდვიდან მიღებულ შემოსავალსა და მის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა და მისი აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში.

ანარიცხები

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას აქვს მიმდინარე (იურიდიული ან კონსტრუქციული) ვალდებულებები წარსულში მომხდარი მოვლენების გამო და მოსალოდნელია, რომ კომპანიისგან მოთხოვნილი იქნება ვალდებულების დაფარვა და შესაძლებელი იქნება ვალდებულებების მოცულობის საიმედოდ შეფასება.

ანარიცხებად აღიარებული ოდენობა წარმოადგენს იმ თანხის საუკეთესო შეფასებას, რომელიც საჭირო იქნება მიმდინარე ვალდებულების დასაფარად ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის, ამ ვალდებულებასთან დაკავშირებული რისკებისა და გაურკვევლობების გათვალისწინებით. როდესაც ანარიცხები ფასდება მიმდინარე ვალდებულების გასასტუმრებლად საჭირო ფულადი ნაკადებით, მისი საბალანსო ღირებულება არის ამ ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულება.

თუ ანარიცხების დაფარვისთვის საჭირო ეკონომიკური სარგებლის ნაწილობრივ ან მთლიანად მიღება მესამე მხარისგან არის მოსალოდნელი, მისაღები თანხის აღიარება აქტივად ხდება მაშინ, როდესაც ფაქტობრივად გარანტირებულია ანაზღაურების მიღება და მისაღები თანხის ოდენობის საიმედოდ შეფასება შესაძლებელია.

პირობითი აქტივები და ვალდებულებები

პირობითი ვალდებულებები არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუმცა წარმოდგენილია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საწარმოდან ეკონომიკურ სარგებელში განივთებული სარგებლის გასვლა მოსალოდნელია შორეულ მომავალში.

პირობითი აქტივები არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუმცა, ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება მაშინ, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოძენა.

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების აღიარება ხდება, როდესაც კომპანია ხდება ინსტრუმენტების სახელშეკრულებო პირობების მონაწილე.

დანახარჯები, რომლებიც პირდაპირ განეკუთვნება ფინანსური აქტივების ან ფინანსური ვალდებულებების შეძენას ან გამოშვებას (მოგებაში ან ზარალში სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების გარდა), პირველადი აღიარებისას, შესაბამისად, ემატება ან აკლდება ფინანსური აქტივებისა თუ ფინანსური ვალდებულებების სამართლიან ღირებულებას. გარიგების დანახარჯები, რომლებიც პირდაპირ განეკუთვნება მოგებაში ან ზარალში სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების შეძენას ან გამოშვებას, მაშინვე აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივები იყოფა შემდეგ კონკრეტულ კატეგორიებად: სამართლიანი ღირებულებით შეფასებულ და მოგებაში ან ზარალში ასახულ ფინანსურ აქტივებად, დაფარვის ვადამდე ფლობილ საინვესტიციო ფასიან ქაღალდებად, გასაყიდად გამოზნულ ფინანსურ აქტივებად, სესხებად და მისაღებ ანგარიშებად. კლასიფიკაცია დამოკიდებულია ფინანსური აქტივის ხასიათსა და მიზნობრიობაზე და განისაზღვრება თავდაპირველი აღიარებისას.

კომპანიის ძირითადი ფინანსური აქტივები წარმოადგენს ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს, სავაჭრო და სხვა დებიტორულ დავალიანებას და გაცემული სესხი.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის სავალო ინსტრუმენტის ამორტიზებული ღირებულების გაანგარიშებისა და შესაბამის პერიოდზე საპროცენტო შემოსავლისა და ხარჯების განაწილების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ახდენს მომავალში მოსალოდნელი ფულადი ნაკადების (მათ შორის ყველა გადახდილი და მიღებული გასამრჯელო, რომლებიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელი ნაწილია, გარიგების დანახარჯები და სხვა პრემიები თუ დისკონტები) დისკონტირებას სავალო ინსტრუმენტის მოქმედების მოსალოდნელ ვადაზე ან, საჭიროების შემთხვევაში, უფრო ხანმოკლე ვადაზე, თავდაპირველი აღიარებისას დაფიქსირებულ წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი აღიარდება სასესხო ინსტრუმენტების ეფექტური საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს მიმდინარე ანგარიშებს ბანკებში და ასევე ფული სალაროში.

სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება

სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებების შემდგომი შეფასება ასევე ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. მოკლევადიანი დებიტორული დავალიანებები, რომლებსაც პროცენტი არ ერიცხება, ნომინალური ღირებულებით აღირიცხება. მოსალოდნელი უიმედო თანხების შესაბამისი რეზერვები აღიარდება მოგებაში ან ზარალში და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, როდესაც არსებობს აქტივის გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება. აღიარებული რეზერვი ფასდება აქტივის საბალანსო ღირებულებასა და მოსალოდნელი მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებას შორის სხვაობის სახით, რომელიც დისკონტირდება თავდაპირველი აღიარებისას დაანგარიშებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთით.

გაცემული სესხები

გაცემული სესხების შემდგომი შეფასება ასევე ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. მოსალოდნელი უიმედო თანხების შესაბამისი რეზერვები აღიარდება მოგებაში ან ზარალში და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, როდესაც არსებობს აქტივის გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება. აღიარებული რეზერვი ფასდება აქტივის საბალანსო ღირებულებასა და მოსალოდნელი მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებას შორის სხვაობის სახით, რომელიც დისკონტირდება თავდაპირველი აღიარებისას დაანგარიშებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთით.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს ფინანსური აქტივები ფასდება შესაძლო გაუფასურების ნიშნების აღმოსაჩენად. ფინანსური აქტივები გაუფასურებულად ითვლება მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ფინანსური აქტივის პირველადი აღიარების შემდეგ დამდგარმა ერთმა ან ერთზე მეტმა მოვლენამ გავლენა მოახდინა ინვესტიციიდან მოსალოდნელ სამომავლო ფულად ნაკადებზე.

ყველა დანარჩენი ფინანსური აქტივის შემთხვევაში, გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება იქნება:

- ემიტენტის ან კონტრაგენტის მნიშვნელოვანი ფინანსური სირთულეები;

- ხელშეკრულების პირობების დარღვევა, როგორც არის ძირითადი თანხის ან პროცენტის გადაუხდელობა ან გადახდის დაგვიანება;
- მოსალოდნელია მსესხებლის გაკოტრება ან ფინანსური რეორგანიზაცია; ან
- აღნიშნული ფინანსური აქტივის აქტიური ბაზრის გაუჩინარება ფინანსური სირთულეების გამო.

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ოდენობა განისაზღვრება, როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და სამომავლო ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებას შორის, რომელიც მიიღება ფინანსური აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეშვეობით დისკონტირებით.

თვითღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივების შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ოდენობა განისაზღვრება, როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და სამომავლო ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებას შორის, რომელიც მიიღება ანალოგიურ ფინანსურ აქტივზე არსებული საბაზრო უკუგების განაკვეთის მეშვეობით დისკონტირებით. ასეთი გაუფასურების ზარალი მომდევნო პერიოდებში არ შებრუნდება.

ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულება პირდაპირ მცირდება გაუფასურების ზარალით ყველა ფინანსური აქტივის შემთხვევაში. გამონაკლისია სავაჭრო დებიტორული დავალიანებები, რომელთა შემთხვევაშიც საბალანსო ღირებულება მცირდება გაუფასურების რეზერვის ანგარიშის გამოყენებით. თუ

სავაჭრო დებიტორული დავალიანება უიმედოდ ჩაითვლება, ის ჩამოიწერება გაუფასურების რეზერვის ანგარიშიდან. ჩამოწერილი თანხების შემდგომი აღდგენა ხდება გაუფასურების რეზერვის ანგარიშის კრედიტის მხარეზე ასახვით. გაუფასურების რეზერვის ანგარიშის საბალანსო ღირებულებაში ცვლილებების აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების შემთხვევაში, თუ მომდევნო პერიოდში გაუფასურების ზარალი შემცირდება და ეს შემცირება შეიძლება ობიექტურად უკავშირდებოდეს გაუფასურების აღიარების შემდეგ დამდგარ გარემოებას, უკვე აღიარებული გაუფასურების ზარალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში ასახვის მეშვეობით იმდენად, რომ გაუფასურების შებრუნების თარიღისთვის არსებული ინვესტიციის საბალანსო ღირებულება არ აღემატებოდეს იმ ამორტიზირებად ღირებულებას, რომელიც გვექნებოდა, გაუფასურება რომ არ აღიარებულიყო.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას, როდესაც იწურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებები აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღებაზე ან როდესაც სხვა მხარეს გადასცემს ფინანსურ აქტივს და ამ აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ თითქმის ყველა რისკსა და სარგებელს. თუ კომპანია არც გადაცემს და არც ინარჩუნებს საკუთრებასთან დაკავშირებულ არსებითად ყველა რისკსა და სარგებელს და აგრძელებს გადაცემული აქტივის კონტროლს, კომპანია აღიარებს თავის შენარჩუნებულ ინტერესს აქტივში და მასთან დაკავშირებულ ვალდებულებაში, იმ თანხების ოდენობით, რომელთა გადახდაც მას შეიძლება მოუხდეს. თუ კომპანია ინარჩუნებს გადაცემული ფინანსური აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ არსებითად ყველა რისკსა და სარგებელს, კომპანია აგრძელებს ფინანსური აქტივის აღიარებას და ასევე აღიარებს მიღებული თანხებისთვის ურუნველყოფილ ნასესხებ სახსრებს.

ფინანსური აქტივის მთლიანობაში აღიარების შეწყვეტის შემთხვევაში, აქტივის საბალანსო ღირებულებასა და მიღებულ თანხას, დებიტორულ დავალიანებასა და სხვა სრულ შემოსავალში აღიარებულ და კაპიტალში

დაგროვილ ჯამურ შემოსავალს ან ზარალს შორის არსებული სხვაობის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური აქტივის აღიარების არასრულად შეწყვეტის შემთხვევაში (მაგ. როდესაც კომპანია იტოვებს გადაცემული აქტივის ნაწილის გამოსყიდვის უფლებას), კომპანია ფინანსური აქტივის თავდაპირველ საბალანსო ღირებულებას გადაანაწილებს იმ ნაწილზე, რომელშიც მონაწილეობის შენარჩუნებასაც აღიარებს, და იმ ნაწილზე, რომელსაც აღარ აღიარებს, გადაცემის თარიღისთვის მათი ფარდობითი სამართლიანი ღირებულებების მიხედვით. აღიარება შეწყვეტილი ნაწილისთვის მიკუთვნებულ საბალანსო ღირებულებასა და აღიარება შეწყვეტილ ნაწილში მიღებული საზღაურისა და მასზე განაწილებული და სხვა სრულ შემოსავალში აღიარებული დაგროვილი ნამეტი შემოსავლის ან ზარალის ჯამს შორის სხვაობის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში. დაგროვილი შემოსულობა ან ზარალი, რომელიც აღიარებულია სხვა სრულ შემოსავალში ნაწილდება იმ ნაწილს, რომლის აღიარებაც გრძელდება და აღიარება შეწყვეტილ ნაწილს შორის მათი ფარდობითი სამართლიანი ღირებულებების მიხედვით.

ფინანსური ვალდებულებები და წილობრივი ინსტრუმენტები

მოზიდულ და საკუთარ კაპიტალად კლასიფიცირება

კომპანიის მიერ გამოშვებული სავალო და წილობრივი ინსტრუმენტები კლასიფიცირდება როგორც ფინანსური ვალდებულება ან როგორც კაპიტალი, სახელშეკრულებო პირობებისა და ფინანსური ვალდებულებისა და წილობრივი ინსტრუმენტის განმარტებების მიხედვით.

წილობრივი ინსტრუმენტები

წილობრივი ინსტრუმენტი არის კონტრაქტი, რომლითაც დასტურდება ნარჩენი ინტერესი საწარმოს აქტივში ყველა მისი ვალდებულების გამოქვითვის შემდეგ. კომპანიის საწარმოს მიერ გამოშვებული წილობრივი ინსტრუმენტების აღიარება ხდება მიღებული საზღაურის ოდენობით, რასაც აკლდება გამოშვებასთან დაკავშირებული პირდაპირი დანახარჯები.

კომპანიის საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტების განმეორებით შეძენა აღიარდება და დაიქვითება პირდაპირ კაპიტალში. კომპანიის საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტის ყიდვის, გაყიდვის, გამოშვების ან გაუქმების შედეგად არანაირი მოგების თუ ზარალის აღიარება არ ხდება მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები (რომლებიც წარმოდგენილია სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებით) აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მხოლოდ კომპანიის ვალდებულებების შესრულების, გაუქმების ან ამოწურვის შემთხვევაში. აღიარება შეწყვეტილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ და გადასახდელ საზღაურს შორის სხვაობის აღიარება ხდება მოგება ან ზარალის და სხვა შემოსავლის ანგარიშგებაში.

საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი აღიარდება კომპანიის მიერ მიღებული შენატანების სამართლიანი ღირებულებით.

წინასწარ გადახდილი გადასახადები და საგადასახადო დავალიანება

წინასწარ გადახდილი გადასახადები ნომინალური ღირებულებით აღირიცხება მოსალოდნელი უიმედო თანხების რეზერვის გამოკლებით. მოგების გადასახადის გარდა სხვა საგადასახადო დავალიანება ნომინალური ღირებულებით აღირიცხება.

მომწოდებლებისთვის გადახდილი ავანსები

მომწოდებლებისთვის გადახდილი ავანსები აღირიცხება თვითღირებულებით, უიმედო თანხების რეზერვის გამოკლებით.

მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები აღირიცხება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც, გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები. თვითღირებულება დაანგარიშდება საშუალო შეწონილი შეფასების მეთოდის გამოყენებით.

სასაქონლო-მატერიალური მარაგების თვითღირებულება მოიცავს: მის შეძენასა და გადამუშავებასთან დაკავშირებულ ყველანაირ დანახარჯს, ასევე ისეთ დანახარჯებს, რომლებიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისთვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად.

წარმოების პროცესის შედეგად მიღებული თანმდევი პროდუქცია ფასდება გასაყიდ ფასად მისი დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო დანახარჯების გამოკლებით.

წმინდა სარეალიზაციო ღირებულება გამოითვლება, როგორც ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში სავარაუდო გასაყიდ ფასს გამოკლებული დასრულების და რეალიზაციის სავარაუდო ხარჯი.

მარაგის შეძენის დანახარჯები მოიცავს: მისი შეძენის (ნასყიდობის) ფასს, საიმპორტო საბაჟო გადასახადს და სხვა გადასახადებს (იმ გადასახადების გარდა, რომლებიც საგადასახადო ორგანოებმა საწარმოს უნდა დაუბრუნონ შემდგომში), სატრანსპორტო, დატვირთვა-გადმოტვირთვის დანახარჯებსა და სხვა დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული მზა პროდუქციის, ნედლეულის, მასალებისა და მომსახურების შეძენასთან. სავაჭრო დათმობა, სხვადასხვა სახის ფასდათმობები და სხვა ანალოგიური მუხლები არ ჩაირთვება შეძენის დანახარჯების გაანგარიშებაში.

მარაგის გადამუშავების დანახარჯები მოიცავს ისეთ დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდაა დაკავშირებული პროდუქციის ერთეულების წარმოებასთან, ესენია: პირდაპირი შრომითი დანახარჯები, მუდმივი და ცვლადი ზედნადები ხარჯები.

იჯარა

იჯარები კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარებად, იჯარის პერიოდის განმავლობაში, როდესაც ხდება საიჯარო აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ყველა რისკის და უფლების გადაცემა. ყველა სხვა იჯარა საოპერაციო იჯარებად კლასიფიცირდება. უფლებები ფინანსური იჯარის ფარგლებში ფლობილ აქტივებზე აქტივებად აღიარდება, იჯარით აღებული ქონების სამართლიანი ღირებულებით (ან, თუ

ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების მიმდინარე ღირებულებით) იჯარის დასაწყისში. მეიჯარის შესაბამისი ვალდებულება ფინანსური იჯარის ვალდებულების სახით არის ასახული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. საიჯარო გადასახადები ნაწილდება ფინანსურ დანახარჯებსა და საიჯარო ვალდებულების შემცირებას შორის იმგვარად, რომ წარმოიქმნას მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დარჩენილ ნაშთზე. ფინანსურ იჯარაზე გადახდილი პროცენტი აღიარდება მოგების ან ზარალის ანგარიშგებაში. ფინანსური იჯარის ფარგლებში ფლობილი აქტივები აღრიცხულია ძირითად აქტივებში. მათზე ირიცხება ცვეთა და ფასდება გაუფასურებაზე იგივე ფორმით, როგორც ფლობილი აქტივები.

საოპერაციო იჯარის ფარგლებში განხორციელებული საიჯარო გადახდები წრფივი მეთოდის გამოყენებით დაირიცხება მოგებაზე ან ზარალზე, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

5. შეფასებები და დაშვებები

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას, რომლებიც მე-4 შენიშვნაშია აღწერილი, ხელმძღვანელობას მოეთხოვებათ განსჯა, შეფასება და დაშვებების გამოყენება იმ აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებთან დაკავშირებით, რომლებიც მზა სახით ხელმისაწვდომი არ არის სხვა წყაროებიდან. ეს შეფასებები და მათთან დაკავშირებული დაშვებები ეყრდნობა ისტორიულ გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, რომლებიც აქტუალურად მიიჩნევა. ფაქტობრივი შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს ამგვარი შეფასებებისგან.

ეს შეფასებები და თანმდევი დაშვებები მუდმივად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასებების გადახედვის აღიარება ხდება იმ პერიოდში, როცა მოხდა ამ შეფასების გადახედვა, მხოლოდ იმ შემთხვევაში: თუ გადახედვა გავლენას ახდენს მხოლოდ ამ პერიოდზე, ან გადახედვის პერიოდსა და სამომავლო პერიოდებში, ან თუ გადახედვა გავლენას ახდენს როგორც მიმდინარე, ისე სამომავლო პერიოდებზე.

საანგარიშგებო პერიოდში ხელმძღვანელობის მხრიდან გამოყენებულია შემდეგი დაშვებები:

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა

ძირითადი საშუალების შემადგენელი ცალკეული ერთეულების სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასება დამოკიდებულია ხელმძღვანელობის დაშვებებზე, რომლებიც ეფუძნება მსგავს აქტივებთან წარსულ გამოცდილებას. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, ხელმძღვანელობა განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, სადაც ხდება აქტივის გამოყენება. რომელიმე პირობაში ან შეფასებაში მომხდარმა ცვლილებამ, შეიძლება მოითხოვოს სამომავლო ცვეთის კოეფიციენტების გადახედვა.

6. ამონაგები

	2023	2022
ამონაგები რეალიზაციიდან	18,402,540	14,279,695
ამონაგები	18,402,540	14,279,695

შპს „NUTSGE“

საწყისი ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2023 წლის 31 ივლისით დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ცხრილში ციფრები მოცემულია ლარში)

7. გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება

	2023	2022
მარაგების თვითღირებულება	15,384,547	11,721,829
გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება	15,384,547	11,721,829

8. რეალიზაციისა და დისტრიბუციის ხარჯები

	2023	2022
ტრანსპორტირების ხარჯები	635,193	483,363
სხვა ხარჯები	116,693	40,976
რეალიზაციისა და დისტრიბუციის ხარჯები	751,886	524,339

9. ადმინისტრაციული ხარჯები

	2023	2022
ხელფასის ხარჯი	1,161,222	779,062
ცვეთა და ამორტიზაცია	209,385	200,961
მომსახურების ხარჯი	115,053	19,504
მივლინების ხარჯი	67,719	25,179
კომუნალური ხარჯი	59,299	58,234
სხვა ხარჯები	44,780	23,371
გამოფენის ხარჯი	37,109	4,396
სერთიფიცირების ხარჯი	37,013	-
საკონსულტაციო ხარჯი	30,898	31,455
რემონტის ხარჯი	27,610	24,719
საყოფაცხოვრებო ხარჯი	27,322	16,214
შემოწმების ხარჯი	21,618	10,605
დაცვის ხარჯი	19,607	19,284
საბანკო ხარჯი	18,599	9,134
საგადასახადოს სხვა ხარჯი	17,387	10,084
საკანცელარიო ხარჯი	15,030	5,545
ქონების გადასახადი	12,833	14,146
იჯარის ხარჯი	1,540	5,085
ადმინისტრაციული ხარჯები	1,924,024	1,256,978

შპს „NUTSGE“

საწყისი ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2023 წლის 31 ივლისით დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ცხრილში ციფრები მოცემულია ლარში)

10. არასაოპერაციო შემოსავალი

არასაოპერაციო შემოსავალი

	2023	2022
ზარალის ანაზღაურება*	120,131	26,287
შემოსავალი ძირითადი საშუალების გაყიდვიდან	10,110	-
მესამე მხარის თანადაფინანსება**	15,000	-
სხვა	14,488	68,152
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	159,729	94,439

* არასაოპერაციო შემოსავალი 120,131 ლარი წარმოადგენს სადაზღვეო ზარალის ანაზღაურებას რომელიც 2023 წლის საანგარიშგებო პერიოდში, ხანძრის შედეგად დაზიანებული ნედლეულის და ძირითადი საშუალებების ზიანის ანაზღაურებას მოხმარდა. აღნიშნული ძირითადი საშუალებების შეკეთების ხარჯი, იმავე პერიოდში რემონტის ხარჯად იქნა აღიარებული (შენიშვნა 9), რადგან შეკეთების შედეგად არ მომხდარა საწარმოო სიმძლავრეების გაუმჯობესება. 2022 წლის საანგარიშგებო პერიოდში, სადაზღვეო ზარალის ანაზღაურება შეადგენდა 26,287 ლარს.

** არასაოპერაციო შემოსავალი 15,000 ლარის ოდენობით წარმოადგენს კომპანიასა და არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიული პირის „სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს“ (შემდგომში სააგენტო) შორის გაფორმებულ შეთანხმების საფუძველზე მიღებულ თანადაფინანსებას (2022:0).

11. მოგების გადასახადი

საგადასახადო კანონმდებლობის ცვლილებების ამოქმედების შემდეგ (მე-4 შენიშვნა), 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, კომპანიამ მთლიანად შემოაბრუნა თავისი გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები ბასს (IAS) 12-ის „მოგებიდან გადასახადები“ შესაბამისად, რათა გადავადებული გადასახადები შეაფასოს 0%-იანი საგადასახადო განაკვეთით, რომელიც მოქმედებს გაუნაწილებელ მოგებაზე 2017 წლის 1 იანვრიდან.

2022 და 2023 წლების საანგარიშგებო პერიოდში კომპანიამ მოგების გადასახადის ხარჯი არ აღიარა, რადგან აღნიშნულ საანგარიშგებო წლებში მოგება არ გაუნაწილებია.

შპს „NUTSGE“

საწყისი ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2023 წლის 31 ივლისით დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ცხრილში ციფრები მოცემულია ლარში)

12. ძირითადი საშუალებები

	მიწა	დაუმთავრებელი მშენებლობა	შენობა- ნაგებობები	მანქანა- დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	სხვა ძირითადი საშუალებები	სულ
თვითღირებულება:								
2021 წლის 1 აგვისტო	60,000	-	704,784	1,475,808	79,919	14,267	11,646	2,346,423
დამატება	-	-	14,458	18,408	2,723	29,400	2,302	67,291
ჩამოწერა	-	-	-	(5,184)	-	-	-	(5,184)
2022 წლის 31 ივლისი	60,000	-	719,242	1,489,032	82,642	43,667	13,948	2,408,530
დამატება	95,365	17,826	-	189,352	18,625	2,749	14,420	338,337
ჩამოწერა	-	-	-	-	-	(24,572)	-	(24,572)
2023 წლის 31 ივლისი	155,365	17,826	719,242	1,678,384	101,267	21,843	28,367	2,722,295
დაგროვილი ცვეთა:								
2021 წლის 1 აგვისტო	-	-	197,734	698,222	78,008	6,485	9,243	989,692
მიმდინარე წლის ცვეთა	-	-	36,352	154,744	2,941	4,968	1,955	200,961
ჩამოწერა	-	-	-	(4,937)	-	-	-	(4,937)
2022 წლის 31 ივლისი	-	-	234,087	848,029	80,949	11,453	11,198	1,185,715
მიმდინარე წლის ცვეთა	-	-	36,435	161,999	4,988	3,270	2,692	209,385
ჩამოწერა	-	-	-	-	-	(7,481)	-	(7,481)
2023 წლის 31 ივლისი	-	-	270,521	1,010,028	85,937	7,242	13,890	1,387,619
წმინდა ღირებულება:								
2021 წლის 31 ივლისი	60,000	-	507,050	777,585	1,912	7,782	2,403	1,356,731
2022 წლის 31 ივლისი	60,000	-	485,156	641,003	1,693	32,213	2,749	1,222,815
2023 წლის 31 ივლისი	155,365	17,826	448,721	668,356	15,330	14,601	14,477	1,334,676

შპს „NUTSGE“

საწყისი ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2023 წლის 31 ივლისით დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ცხრილში ციფრები მოცემულია ლარში)

12. ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

2023 წლის 31 ივლისის მდგომარეობით მიწა, შენობა-ნაგებობები და მანქანა-დანადგარები საბალანსო ღირებულებით 155,365, 448,721, და 668,356 ლარი წარმოადგენდა გირავნობის საგანს. (2022 წლის 31 ივლისის მდგომარეობით, მიწის, შენობა-ნაგებობების და მანქანა-დანადგარების საბალანსო ღირებულებები: 60,000, 485,156 და 641,003 ლარი; 2021 წლის 1 აგვისტოს მდგომარეობით მიწა, მდგომარეობით, მიწის, შენობა-ნაგებობების და მანქანა-დანადგარების საბალანსო ღირებულებები: 60,000, 507,050 და 777,585 ლარი).

13. მარაგები

	2023 წლის 31 ივლისი	2022 წლის 31 ივლისი	2021 წლის 31 ივლისი
ნედლეული და მასალები	451,589	607,690	-
მზა პროდუქცია	709,979	453,415	690,482
შესაფუთი მასალები	106,390	120,227	60,067
სხვა მარაგები	1,530	872	915
მარაგები	1,269,488	1,182,204	751,464

საანგარიშგებო პერიოდში კომპანიამ 15,384,547 ლარის ნედლეული ჩამოწერა წარმოების მიზნით (2022: 11,721,829) (შენიშვნა 7).

14. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2023 წლის 31 ივლისი	2022 წლის 31 ივლისი	2021 წლის 31 ივლისი
სავაჭრო მოთხოვნები	2,259,319	1,506,390	448,475
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2,259,319	1,506,390	448,475

15. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

	2023 წლის 31 ივლისი	2022 წლის 31 ივლისი	2021 წლის 31 ივლისი
ფული სალაროში	2,148	3,599	1,410
ფული ბანკში	308,110	103,951	168,613
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	310,258	107,550	170,023

შპს „NUTSGE“

საწყისი ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2023 წლის 31 ივლისით დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ცხრილში ციფრები მოცემულია ლარში)

16. სესხები

	2023 წლის 31 ივლისი	2022 წლის 31 ივლისი	2021 წლის 31 ივლისი
გრძელვადიანი სესხები			
გრძელვადიანი სესხები ბანკებიდან	16,449	-	-
გრძელვადიანი სესხები მესაკუთრე საწარმოსგან (შენიშვნა 20)	4,288,675	3,103,855	2,930,019
სულ გრძელვადიანი სესხები	4,305,124	3,103,855	2,930,019
მოკლევადიანი სესხები			
მოკლევადიანი სესხები ბანკებიდან	1,507,768	169,737	949,605
მოკლევადიანი სესხები მესაკუთრე საწარმოსგან (შენიშვნა 20)	20,042	1,250,580	12,625
სულ მოკლევადიანი სესხები	1,527,810	1,420,317	962,230
სულ სესხები	5,832,934	4,524,172	3,892,249
გადასახდელი პროცენტი			
გადასახდელი პროცენტი მესაკუთრე საწარმოს მიმართ (შენიშვნა 20)	288,264	36,130	165,449
სულ გადასახდელი პროცენტი	288,264	36,130	165,449
ფინანსური ხარჯი მესაკუთრე საწარმოს მიმართ (შენიშვნა 20)	420,299	777,528	
ფინანსური ხარჯი ბანკები	294,069	45,590	
სულ ფინანსური ხარჯი	714,368	823,118	

17. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	2023 წლის 31 ივლისი	2022 წლის 31 ივლისი	2021 წლის 31 ივლისი
სავაჭრო ვალდებულებულები	544,531	1,039,260	249,884
გადასახდელი ხელფასები	49,630	35,514	5,344
ვალდებულებები დამფუძნებლის მიმართ	-	238,824	-
სხვა სავაჭრო ვალდებულებულები	25,307	9,565	788
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	619,468	1,323,163	256,016

შპს „NUTSGE“

საწყისი ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2023 წლის 31 ივლისით დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ცხრილში ციფრები მოცემულია ლარში)

18. მიღებული ავანსები

	2023 წლის 31 ივლისი	2022 წლის 31 ივლისი	2021 წლის 31 ივლისი
მიღებული ავანსები	1,321,857	940,454	137,405
მიღებული ავანსები	1,321,857	940,454	137,405

19. საწესდებო კაპიტალი

2023 წლის განმავლობაში საწესდებო კაპიტალში ცვლილება არ განხორციელებულია და წარმოადგენს 916,812 ლარს (2022 წელს: 916,812, 2021 წელს: 916,812).

20. დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები

დაკავშირებული მხარეები მოიცავს მფლობელებს, საერთო მფლობელობას და კონტროლს დაქვემდებარებულ საწარმოს, ასევე უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრებს.

კავშირის ტიპი	დაკავშირებული მხარეები
მფლობელი	შპს „გაზელ ფაინენს ჯორჯია“
მფლობელი	მამუკა ბერიაშვილი
საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	შპს ნატექსი
უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა	გენერალური დირექტორი
უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა	ფინანსური დირექტორი

კომპანიას გააჩნდა შემდეგი ბალანსები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან:

	2023 წლის 31 ივლისი	2022 წლის 31 ივლისი	2021 წლის 31 ივლისი
ნაშთები საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ საწარმოსთან:			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	-	-	94,070
გაცემული სესხები	363,200	415,651	-
მისაღები პროცენტები	-	48,785	-
ნაშთები ფლობელებთან:			
გადასახდელი პროცენტი (შენიშვნა 16)	288,264	36,130	165,449
გრძელვადიანი სესხები (შენიშვნა 16)	4,288,676	3,103,855	2,930,019
მოკლევადიანი სესხები (შენიშვნა 16)	20,042	1,250,581	12,626
ვალდებულებები დამფუძნებლის მიმართ (შენიშვნა 17)		238,824	-
გადასახდელი ხელფასები	8,448	-	-

შპს „NUTSGE“

საწყისი ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2023 წლის 31 ივლისით დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ცხრილში ციფრები მოცემულია ლარში)

	2023	2022	2021
ტრანზაქციები საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ საწარმოებთან			
შემოსავალი	2,415	-	197,647
საპროცენტო შემოსავალი	56,323	53,553	-
ტრანზაქციები ფლობელებთან			
ფინანსური ხარჯი (შენიშვნა 16)	420,299	777,528	398,961
	2023	2022	2021
უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის ანაზღაურება	119,111	108,088	31,094

21. პირობითი ვალდებულებები

სამართალწარმოებები - 2023 და 2022 წლების 31 ივლისის და 2021 წლის 1 აგვისტოს მდგომარეობით, კომპანიას გააჩნია შემდეგი დავები:

1. 2023, 2022 და 2021 წლის 1 აგვისტოს მდგომარეობით კომპანიის სავაჭრო ვალდებულება შპს „აინუთ მაქინა იმალათი ორმან ურუნლერი ჰირდავათ გიდა თარიმ ურუნლერი სანაი ვე თიჯარეთ-სთან“ გახდა სადაო არაჯეროვნად განხორციელებული სამუშაოს გამო. 2023 წლის 31 ოქტომბერს, გაფორმდა მორიგების აქტი ორივე მხარესთან და შეთანხმდა, რომ 2023, 2022 და 2021 წლის 1 აგვისტოს მდგომარეობის დარიცხული სავაჭრო დავალიანება, გადაეხადა კომპანიას. (2023 წლის 1 ივლისის მდგომარეობით 206,123 ლარის მოცულობით, 2022 წლის: 215,629 ლარი, 2021 წლის 1 ივლისით: 243,639 ლარი)
2. 2021 წლის ოქტომბერში, კომპანიას წარმოეშვა დავა თანამშრომელთან, რომელიც მოითხოვდა სამსახურში აღდგენას. 2022 და 2023 წლის 1 ივლისის მდგომარეობით, კომპანიისთვის არ იყო ცნობილი სასამართლო დავის დასრულების შედეგები, შესაბამისად 2022 და 2023 წლის საანგარიშგებო პერიოდში აღნიშნულ დავასთან დაკავშირებით ანარიცხი არ ყოფილა.

ხელმძღვანელობა თვლის, გარდა ზემოაღნიშნული დავებისა, ადგილი არ ექნება არსებითი დაურიცხავი ზარალის დარიცხვას და შესაბამისად წინამდებარე საწყის ფინანსურ ანგარიშგებაში დარიცხული დავალიანებები სამართლიანად ასახავს გარემოებას.

გადასახადები საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა და პრაქტიკა მუდმივად ვითარდება და შესაბამისად ის სხვადასხვა ინტერპრეტაციებს და ხშირ ცვლილებებს ექვემდებარება, რასაც შესაძლოა უკუქმედების ძალა ჰქონდეს. ამასთანავე, საგადასახადო ორგანოების მიერ კომპანიის ოპერაციებთან და საქმიანობებთან დაკავშირებული კანონმდებლობის ინტერპრეტაცია შეიძლება არ ემთხვეოდეს კომპანიის ხელმძღვანელობის ინტერპრეტაციებს. საგადასახადო პერიოდები ღია რჩება საგადასახადო უწყებების მიერ გადასახედად სამი წლის განმავლობაში. შედეგად, საგადასახადო ორგანოებმა შესაძლოა ექვემდებარებოდნენ

შპს „NUTSGE“

საწყისი ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2023 წლის 31 ივლისით დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ცხრილში ციფრები მოცემულია ლარში)

დააყენონ გარიგებები, ხოლო კომპანია შეიძლება დაეკისროს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები.

22. ანგარიშგების პერიოდის შემდგომი მოვლენები

2024 წლის 31 ოქტომბერს, კომპანია შეთანხმდა შპს „აინუთ მაქინა იმალათი ორმან ურუნლერი ჰირდავთ გიდა თარიმ ურუნლერი სანაი ვე თიჯარეთ-სთან“, რომ დარიცხული დავალიანება 77,960 დოლარის ოდენობით, გადაეხადა 2023 წლის 4 დეკემბრიდან 2025 წლის 25 თებერვლამდე (შენიშვნა 21). კომპანიამ აღნიშნული თარიღისთვის დაიწყო შეთანხმების აქტის აღსრულება.

2024 წლის იანვარს კომპანიასა და თანამშრომელს შორის წარმოშობილი დავა დასრულდა აღდგენის სანაცვლოდ, კომპენსაციის გადახდით (შენიშვნა 21).

23. საწყისი ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

საწყისი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა დირექტორის მიერ და მის გამოშვებაზე ნებართვა გაიცა 2024 წლის 30 აპრილს.